[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა პრეზენტაციის მიზანს გამოკვეთს და საზოგადოებას ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯების რეალურობას დაანახვებს.

- რატომ ავირჩიე ჩემს საკონფერენციო ნაშრომად მიმართულება „განათლება, ეკოლოგია და სოციალური პასუხისმგებლობა“ ?
- ვინ და როგორ მაძლევს მუდმივ ბიძგს გამიხსნას გზა ცნობიერების ამაღლებისკენ?
- რამდენად ვახერხებთ სწავლა-სწავლებისას თეორია არ იყოს პრაქტიკისგან განყენებული?

რა არის განათლება ჩემთვის? ვინ მაძლევს ბიძგს მივიღო ისეთი განათლება, რომ 21-ე საუკუნის გამოწვევებს ვუპასუხო?

1. განათლება, ზოგადად და ჩემთვისაც, არის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული საჩუქარი, რომელსაც ადამიანი იძენს მთელი ცხოვრების განმავლობაში. ის არ არის მხოლოდ წიგნებიდან მიღებული თეორიული ცოდნა ან ქულები ცოდნის შესაფასებელი. ეს არის გზავნილი თავისუფლებისკენ, თვითშემეცნებისა და განვითარებისათვის. მხოლოდ განათლების გზით იმაღლებ სოციალურ პასუხისმგებლობას, ივითარებ არაერთ გამჭოლ კომპეტენციას და მათ შორის ეკოლოგიურ წიგნიერებას.

2. საამისოდ ბიძგს მაძლევს სასკოლო საზოგადოება. სასკოლო ასაკში ხომ განათლება მასწავლებლებსა და თანატოლებთან თანამშრომლობის გზით მეძლევა.

3. ცოდნა, რომელიც თეორიისა და პრაქტიკის განუხრელი შერწყმით მიიღება, დასაყრდენია ცნობიერების ასამაღლებლად, ძალაა

I. □□□□ □□□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□, „□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□, □□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□, □□□□□□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□“, □□□□□□□□□□□□□□ („□□□□□□□□□□, □□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□□“) □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□”

ნაბიჯი I.

- ყველაფერი იმით დაიწყო, როდესაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნანა ლომაიამ გაკვეთილზე რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „მუხა“ დაგვამუშავებინა და დაგვაფიქრა მწერლის სათქმელზე.

ნაბიჯი II.

- მასწავლებლის განუხრელი მცდელობა, რათა მიზნობრივად დასმული კითხვებით მოთხრობის მთავარი სათქმელი დაგვეზუსტებინა.

ნაბიჯი III.

- ტექსტის სათქმელის გააზრების შემდეგ გვიბიძგა შეგვექმნა პროდუქტი ესეს სახით: „შეცდომა, რომელმაც სინანული აღძრა, მაგრამ დანაშაული ვერ აღმოფხვრა.“

ნაბიჯი IV.

- შექმნილი პროდუქტის კლასის წინაშე წარდგენა და უკუკავშირების მოსმენა, იმაზე დასაფიქრებლად, თუ როგორ მოვიქცეთ, რათა ბუნების გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზარალი ავირიდოთ.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „მუხა“ - ამონარიდი ტექსტიდან

„რამდენიმე წლის წინ შეზარხოშებულმა მონადირეებმა მიზანში სროლა დაიწყეს მუხის მიმართულებით. სიცილით გამვებული ტყვიები წივილით ესობოდნენ მუხას, მისი ნაფლეთები აქეთ იქით ცვიოდა. ამოვარდა ქარი, მუხის ნაჭრილობევი მტვრით ამოივსო.

გამოხდა ხანი. მონადირე, რომელმაც ნიშანში სროლა გადაწყვიტა, უკვე ხანშიშესული, შვილიშვილთან ერთად ამ ადგილას მოხვდა. მუხის ნაჭრილობევზე ია ამოსულიყო.

მონადირემ უყურა, უყურა, მერე ქუდი მოიხადა და თავდახრილი გაჩერდა.

ნაბიჯი V.

მასწავლებლის გადაწყვეტილება: გამოკვეთილი პრობლემის აღმოსაფხვრელად ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა სწავლა-სწავლებისას ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალური განათლების წილის გაზრდით, საამისოდ პროექტის, „გვმართებს ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრება“, დაგეგმვა.

მიზანი:

განათლება ცნობიერების ამაღლების, ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილებისა და პასუხისმგებლობათა სათანადოდ გააზრებისათვის.

დაუდევრობის შედეგი-

უზარმაზარი მუხა გახმობის პირასაა, ხოლო მტვრით ამოვსებულ ფუღუროში იას დაუდვია ბინა.

ნაბიჯი VI.

ა) მასწავლებლის საუბრები მდგრადი განვითარების იმ კონკრეტულ მიზნებზე, რომლებიც ეკოლოგიური პრობლემების განეიტრალებისკენ არის მიმართული და საამისოდ განათლების როლი განუზომელია. კერძოდ:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;

მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება;

მიზანი 14 - ოკეანისა და ზღვის რესურსი;

მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები;

ბ) ხარისხიანი განათლების მიღების მოტივირება - დისტანციური შეხვედრა ქვეყნის წარმატებულ მოსწავლე მარიამ ჩაჩანიძესთან.

საუკეთესო მოსწავლესთან შეხვედრის ამსახველი კადრები









ნაბიჯი VI.

გ) დისტანციური შეხვედრა გარემოს დაცვის სამსახურისა და კოლხეთის ეროვნული პარკის წარმომადგენლებთან;

დ) ფრინველებზე დაკვირვება, საჭირო ინვენტარითურთ სკოლაში ორნითოლოგ გიორგი ხარბედიას სტუმრობა.

ე) საინტერესო საუბრებით ხელი შეეწყო მოსწავლეებს მოეზადებინათ პრეზენტაციები თემებზე: „ტყე შეუნახე შვილებსა“ „ჩვენი გონივრული ქმედება სამყაროს სასარგებლოდ“, „გაიზარდოს ნარჩენების ეფექტიანი გამოყენება“ „ვისწავლოთ ტყის რესურსების სწორი გამოყენება“, „დარგე ხე - სამყარო გაამდიდრე ჟანგბადით.“

გარემოს დამცველებთან დისტანციური შეხვედრისა თუ სკოლაში სტუმრობის ამსახველი რამდენიმე ფოტო







ნაბიჯი VI.

ვ) პრეზენტაციები წარედგინა სასკოლო საზოგადოებასა და თემს. ვსაუბრობდით სხვადასხვა ასპექტზე: როგორ შეიძლება ნარჩენების შემცირება, ენერგიის დაზოგვა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა.

ზ) დაურიგდათ ასევე თემატური ბუკლეტები.

თ) გაკეთდა გამაფრთხილებელი აბრები მთელ თემში.

ი) გამოიყო ადგილი, სადაც მოსახლეობა შეძლებდა მავნე ნარჩენებისა თუ მეორადი ნივთების განთავსებას, კერძოდ: მაკულატურის, მწყობრიდან გამოსული ელემენტების, პოლიეთილენის ბოთლების, მეორადი ტანსაცმლის განსათავსებლად.

გამაფრთხილებელი აბრებისა და ბუკლეტების ზოგიერთი ფოტო







ნაბიჯი VI.

ი) ეტაპობრივად მიეცა მიმართულება მოგროვილ ნივთებს/საგნებს. მეორადი ტანსაცმლები სოციალურად დაუცველ/ მრავალშვილიან ოჯახებს გადაეცა, მაკულატურა გადავცვალეთ წიგნებზე, რითაც მკითხველთა კლუბს სასურველი ლიტერატურა შევძინეთ, ელემენტების, კაბელების და პოლიეთილენის ნაწარმის ჩაბარების მიზნით გვაქვს მიმოწერა გარემოს დაცვითი ღონისძიებებით დაინტერესებულ კომპანია „ტენესა“ და “ვეისთლესთან“.

კ) შევუერთდით ხის დარგვის აქციას, თემის ცენტრში არსებული პარკი შევავსეთ მარადმწვანე მცენარეებით.

[illegible]

1. გავიაზრეთ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ერთი ტექსტის სწავლებისას გარემოსადმი ზიანის მიყენებით წამოჭრილი პრობლემა ერთადერთი შემთხვევა არ არის.
2. სწავლების ფორმალური თუ არაფორმალური გზებით მსგავსი პრობლემის შესასუსტებლად, უკეთეს შემთხვევაში, მის აღმოსაფხვრელად გავაცნობიერეთ, რომ უმთავრესი იარაღი არის განათლება ეკოლოგიური წიგნიერების კვალდაკვალ.
3. ზემოთ აღწერილი აქტივობების საშუალებით ავიმაღლეთ ცნობიერება, გავიაზრეთ ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობა, შესაბამისად, გაგვიჩნდა ახალი იდეები, დავგეგმოთ გარემოსდაცვითი პროექტები, ჩვენთვის ხელმისაწვდომი რესურსებით აღვნიშნოთ მწვანე და აგრარული დღეები, გავზარდოთ პროექტში ჩართულ პირთა არეალი, რათა ყველა ერთად დავფიქრდეთ, რომ ეკოლოგია გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენი პლანეტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის შენარჩუნებაში. სწორედ ბუნებრივი გარემოს დაბალანსებული მდგომარეობა უზრუნველყოფს სუფთა ჰაერს, წყალსა და საკვებს, ზოგადად უსაფრთხო გარემოს.
4. გადაწყვეტილი გვაქვს სისტემატიურად განვახორციელოთ აქცია „არც ერთი მწვანე დღე ხის დარგვის გარეშე“! საამისოდ თავად ვგეგმავთ ენდემური ჯიშის მცენარეთა დაკალმებას. პრაქტიკული ნაბიჯები კი სასურველ შედეგს არ დააყოვნებს!